წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ხუთშაბათი, 25 მარიამოვისთვე 1916 წ. | № 189

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—ორს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., ქალაქის გარეშე მიღებულ განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღ. 1 მ. მეტი.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უფასოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

## ქ. გორსა, ხაშურსა და ახალქალაქში
## ელენე თარხან-მოურავის პროფესიონალურ
### სკოლებში მოწაფეთა მიღება დაიწყება 25 მარიამობ.

პირობების გაგება შეიძლება სკოლებშივე ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე. მეცადინეობა პირველ ენკენისთვიდგან დაიწყება.
**გორსა და ახალქალაქში მოწაფეები ბინაზედაც მიიღებიან.**
(2—310—1)

**ახალციხის** დედათა ერთკლასიან სასწავლებლისთვის საჭიროა
## მასწავლებელი ქალი
თვიურად ეძლევა 40 მან. და დამატებით გაკვეთილების (სალმრთო რჯული) 50 კ. საათ. თხოვნებით უნდა მოგვმართონ: **ახალციხე სკოლის მდივანს** კონსტანტინე ფალავანდიშვილს. (2-227-2)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
## კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
**სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.**
**ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია**

ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები | ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით **ხილ. ს. გიგიბერია.**

## ახალი მელანი
## კოტე ონიკაშვილისა
**მელანი ასლის ასაღებადაც („კოპიროვკისთვის") კარგია**
**დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში**
ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ეღირება 1 მ. 20 კაპ.
ფუთი უბრალო შუშით 40 მან.
**სანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.**
**მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს**
**მისამართი:** ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
**იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი**
## კახური ღვინო
**განოვის ქუჩა № 4.**
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა
**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**
(102—წ.)

## სავაჭრო სახლი
## „ძმ. სესიევები და ამხ."
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
## ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131. საზაფხულო შენობა)
**ხუთშაბათს, 25 მარიამობისთვეს**
## სინემატოგრაფი
ბაღში დაუკრავს **საზანდარი.**
**პარასკევს 26 მარიამობისთვეს**
## ოპერეტა
რუსულ ოპერეტის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება **მზეთუნა** („Красноа сольнышко"). ბაღში დაუკრავს **სამხედრო ორკესტრი.**
ოპერეტაზე შესვლა უფასოა.
**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**
(1—229—1)

საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

**დ. ზესტაფონში**
## ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
## ახალი აფთიაქი
**პროვიზორის ახვლედიანისა**

**ექიმი**
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
**უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა** სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**ექიმი**
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს **ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან**
## იღებს მანგლისში
კორპუსის ბანაკში

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**
**ექიმი**
## ა. დ. შაჰაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, **სახლი სვანიშვილისა;** შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ ტელეფონი № 5—77.

### თბილისი, 25 მარიამობისთვე.

**რად დაეცა სარწმუნოება?**

ჩვენი ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია, როდესაც არც შენიანი გინდობს და არც სხვისიანი და როდესაც ამით ორივე მოგებული რჩება. ძირს დაცემულ და უფლება მოკლებულ ერის ზურგზე ბუქნას თამაში ყველას უადვილდება და ეხალისება; ეადვილება, რადგან თავ-დაცვის საშუალებას ეს ერთი ქვეყანა მოკლებულია, ეხალისება, რადგან ეს წარჩინების და წარმატების ღონისძიებაა. დღეს ყველამ ბუქნას მოუსწრაფა, თითქოს იმედი ეკარგებოდეთ, რომ დიდ ხანს არ შერჩებათ ეს ბურთი და ეს მოედანი!

ჩვენდამი ამგვარი უდიერი მოპყრობით მაგალითს ბლომად იძლევა ყოველდღიური ქრონიკა. ამის ერთს მაგალითს გადმოგვცემს ერთი ჩვენი კორესპონდენტი, რომლის წერილი: „ქართველი ვოსტორგოვები"..., დღევანდელს ნომერში იბეჭდება. ქართულს ძველის-ძველ მონასტერში, წმ. ანტონ მარტყოფელის მონასტერში, სოფ. მარტყოფში დღეობის დღეს—15—16 მარიამობისთვეს—აუარებელ ქართველობას მოეყარა თავი. დიდძალი ხალხი იყო მოსული შორეულ კუთხიდან მაგ. ქიზიყიდან, თიანეთის მაზრიდან თუ სხვა ადგილებიდან. ხალხი სალოცავად იყო ჩამოსული, წირვა-გალობის მოსასმენად. ვინც საქართველოს ეკლესიის და სარწმუნოების ბედს განაგებს და მისთვის ზრუნვა აქვს დაკისრებული, მას მართებდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ამ მონასტრის დღეობისათვის, რომელიც აუარებელ ხალხს იზიდავს დ გაეგზავნა ისეთი სამღვდელო პირები, ეპისკოპოსი თუ უბრალო მღვდელი, რომელიც შესძლებდა სარწმუნოებრივ მორალურ ქადაგების გაწევას, ხალხს რელიგიურ სინიდისის ძიებას გაუღვიძებდა და დანგრეულ ქართულ ეკლესიისადმი სასოებას, სიყვარულსა და პატივისცემას გაუღვიძებდა. პირველი პირობა ქართველი მრევლისა და სამღვდელოების ერთი მეორის გაგებისა, ქართული ენა, ქართული წირვა-ლოცვა და ქართული ქადაგება არის. ამის გარეითად შეუძლებელია მათ შორის რაიმე ურთიერთობის დაჭერა, რაიმე საზიარო ზრახვის, ფიქრის თუ საგნის ქონვა. და ამიტომაც როდესაც საქართველოს ეკლესიის უფროსი ამ პირველ საშუალებას სპობს, უნდა ვიფიქროთ, რომ მას არც ქართველი მრევლი აინტერესებს, არც ქართული ეკლესია და არც ქართველი სამღვდელოება. ქართველი მრევლი მადლობით ვერ შეხვდება ისეთ განკარგულებას, რომელმაც მას მარტყოფის მონასტერში, ამ დიდ დღეობის დღეს, ქართველი ეპისკოპოზის ნაცვლად ერევნის რუსის ეპისკოპოზი დამიანე ჩამოუყვანა. დამიანე უცხოა ქართველის სარწმუნოებრივი სულისთვის, მისი ენა და მეტყველება გაუგებარია ქართველი ხალხისათვის. და რუსის ეპისკოპოზის პატივსაცემლად და ვინ იცის, იქნებ მის გულის მოსაგებადაც, ოთხი თანამწირველი ქართველი მღვდელიც „არუსულებდა" და დედის რძესთან ერთად ტკბილად შეზრდილ მშობლიურ ენის მაგივრად, ხალხის წინ წირვა და გალობა დანჯღრეულ რუსულ ენაზედ გაუბამთ! კორესპონდენტი გადმოგვცემს სალოცავად მოსულ ხალხის ჩივილს, წირვა-ლოცვა ვერ მოვისმინეთო, და ეს მაშინ, როდესაც ოთხი ქართველი მღვდელი ყოფილა, და ამის შემდეგ უკვირთ, თუ რად დაეცა სარწმუნოება ქართველ ხალხში, თუ რად აიცრუა გული ეკლესიაზედ ქართველობამ! გასაკვირი ის იქნებოდა, რომ ხალხს სარწმუნოება შეენარჩუნა და ეკლესია შეეყვარა ასეთ პირობებში. ქართველობა ქართულად ეზიარა სარწმუნოებას, მან ქართულად ადიდა ღმერთი და ეკლესია. დღეს ეს ქართული მოუსპეთ და როგორ გნებავთ, მან კავშირი შეინახოს ან სარწმუნოებას, ან ღმერთთან, ან ეკლესიასთან. ქართული ეკლესია და ჩვენი ხალხის სარწმუნოებრივი სინიდისი მის სათავეში მოიშხამა და ვიდრე ეს ყოფა გაგრძელდება, შეუძლებელია ჩვენში სარწმუნოების და ეკლესიის აღდგენა. ნუ თუ ეს გაუგებარი უნდა იყოს ან ქართველ სამღვდელოებისათვის, ან საქართველოს ექსარხოსისთვის? ვისმეს თუ გულწრფელი შველა სწადია ქართველი ხალხის სარწმუნოების და ქართულ ეკლესიის საქმისა, უნდა იმოქმედოს ამ ძირითადი უკულმართობის მოსასპობად. ჩვენი სარწმუნოება და ეკლესია მხოლოდ მაშინ განმტკიცდება.

## ეროვნული გაჭირვების გაზრდა და ჩვენი მოქმედების განცდა

ჩვენი უილაჯობა და ძველი ფსიხიკა თუ არ დაიძლია, ტყუილია ჩვენი გამობრუნების იმედი. მთელი ქართველი მოწინავე საზოგადოების თვითმოქმედება ცხადდება იმ კერძო საზოგადო დაწესებულებებში, რომელნიც სხვა და სხვა დროს დაარსებულან და რომელთაც შევრდომია იმ თათბირის ხალხი, რომელიც ნათესაურ ჩამომავლობაში ქრონოლოგიურად უფრო ახლო დგას უნიათობისა და უმოქმედო ფსიხიკის მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსთან. და სწორედ ყველა ამ დაწესებულებას ზედ აზის მცონარობის, უცოდინარობის და გულსაკლავ პასივიზმის ბეჭედი. მოსალოდნელი კი უნდა ყოფილიყო, რომ ამ დაწესებულებებში ყოველი შეგნებული მამულიშვილი დაუზარებლად და წესიერად იმუშავებდა, და შეეცდებოდა მათი საშუალებით ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა იმ დიდი უბედურების შედეგები, როგორიცაა ქვეყნისთვის საკუთარი მართვა-გამგეობის, საკუთარი მთავრობის უყოლობა. ეს ჩვენი თვითმოქმედების საცხადებელი ასპარეზი ამავე დროს ჩვენი საზოგადოებრივი წრთვნისა და მომზადების სკოლაც არის. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ სკოლაში ჩვენი მოწინავე საზოგადოება სამარცხვინოდ „იჭრება" და გამოცდას ველარ აბარებს. ეს საერთო მოვლენაა. ბედნიერი გამონაკლისი ერთობ იშვიათია. თითქმის ყველა საზოგადოება სცოდავს უილაჯობისა, უქნარობისა და მიზანშეუგნებლობის მხრივ. ასეა წერა-კითხვის საზოგადოება, ასეა საქველმოქმედო საზოგადოება, ასეა სიტყვა-კაზმული საზოგადოება, ასეა კულტურულ საზოგადოებათა კავშირი, ასეა დეპუტატთა საკრებულოები, ასეა სხვებიც. გვეგონა, დღევანდელი არაჩვეულებრივი ვითარება დასძრავდა ჩვენს საზოგადოებათ გაყინულობის წერტილიდან, შესცვლიდა, გადაახალისებდა მათ ხასიათს, მათ პსიხიკას, ისე, როგორც ეს შეამთხვია თვით ქართველ ხალხს, მაგრამ ამ შემთხვევაში ინტელიგენცია ბევრად უფრო ინერტული გამოდგა; ძველი, უმოქმედობის კალაპოტიდან იგი ვერ ამოაგდო თვით ჩვენი ქვეყნის უკიდურესმა განსაცდელმა, დღევანდელი საშინელის ომით გამოწვეულმა! ვფიქრობდით, რომ პრაქტიკულ საქმიანობასა და მოქმედების ფარგალს გაგვიფართოვებდა ის ერთად-ერთი დადებითი შედეგი, რომელიც ომმა მოგვიტანა და რომელსაც უნდა დაერქვას საქართველოს ეროვნული პიროვნების გაფართოებული შეგნება. მთელი მუსულმანი ქართველობა ამ ომის წყალობით თითქოს ციდანაო ჩვენში ჩამოვარდა, წარმოსდგა ჩვენს წინაშე. იგი გადაიქცა დღეს ეროვნულ-პსიხოლოგიურად **საქართველოს** განუკვეთელ ნაწილად. ამ გარემოებით ქართველ საზოგადოებას ახალი საზრუნავი დაებადა, მას გაუფართოვდა გაჭირვება, მოსაშუშებელი ჭრილობა გაუგანიერდა. დღეს ქართველი საზოგადოება ისე ვერ აიღებს ხელს მუსულმან ქართველებისთვის ზრუნვაზე, როგორც ვერ აიღებს ხელს ქრისტიან ქართველების ბედის ზრუნვაზედაც. ერთიცა და მეორეც **ერთი განუკვეთელი საქართველოს** ნაწილებია, თანასწორად ძვირფასი, თანასწორად საყვარელი და თანაბრად აუცილებელი დიდი საქართველოს აღსადგენად. ეს ერთად-ერთი შემატებაა ამ უკანასკნელ დროის, ეს არის ერთად-ერთი საფასური იმ დიადი მსხვერპლისა, რომელიც საქართველომ დღევანდელს ომში გაიღო. ეს სისხლით მოპოებული პსიხოლოგიური განძია, საწინდარი ჩვენის აღდგომის, აღორძინების. ვფიქრობდით, ამ გაზრდილი საქართველოს გაფართოებულ საჭიროების დასაკმაყოფილებლად აღიძროდა მთელი შეგნებული საქართველო, რომ იგი დასჭიმავდა მთელ თავის ძარღვებს, მთელ თავის ნერვებს, რომ ყოველი ქართული დაწესებულება თუ საზოგადოება ფეხზე დადგებოდა, თანაბრად მიეშველებოდა ერთი დედის ორსავე შვილს და დააჩქარებდა მათი შედუღების, შესისხლხორცების პროცესს. ვფიქრობდით, რომ ეს ახლად შობილი გაფართოებული ეროვნული პსიხოლოგია თვით პრაქტიკულ მოქმედებას გაგვაძლიერებინებდა და მის ფარგალს ფართედ გაგვაშლევინებდა. ამის ნიშნებიც მალე გამოჩნდა, რამაც იმედი უფრო განგვიმტკიცა. ქართული საქველმოქმედო საზოგადოების პირველი ხანის მოქმედება „გულს იმედს გვისახავდა", პოეტის თქმისა არ იყოს. აწიოკებული და დარბეული აჭარა, შავშეთი, იმერხევი ამ საზოგადოებამ იშვილა. პირველი ძმური სიტყვა საქმე და დახმარება ამ ჩვენს მუსულმან ძმებში ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ შეიტანა. ცრემლი მან მოუწმინდა გაჭირვებაში მოპოებულ ძმებს. ამ საზოგადოებისასაგან საგანგებოდ გაგზავნილმა კაცებმა ფეხით მოიარეს ეს დაქცეული მხარე, გამოიკვლიეს ზარალის რაოდენობა, ასწერეს ქვეყნის მდგომარეობა. ამავე საზოგადოებამ დაანთო აჭარის სხვა და სხვა ადგილას სინათლის მფენი სანათურები, პატარა მუსულმან ქართველებს მან ქართული წიგნისა და წერა-კითხვის მადლი მოჰფინა. მანვე გამოსტაცა უსამართლობას პირიდან არა ერთი და ორი ასი აჭარელი, რომელთაც მცველებად და დარაჯებად ვექილები დაუყენა.

ეს ისტორიის ერთი ლამაზი ფურცელთაგანი იქნება. საქველმოქმედო საზოგადოების მოღვაწეობა აღუნიშვნელი ვერ დარჩება ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში. ყველაფერი ეს უმაღლესად საამო იყო, ამის ერთგვარი ხალისი და სტიმული შეჰქონდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მოქმედებაში. მაგრამ „იუდა ჟამს ეძიებდა". ძველმა ფსიხიკამ, ძველმა უილაჯობამ—ამ ჩვენმა „იუდამ"—ღონე მოიცა, გამოიღვიძა და დაამარცხა საქველმოქმედო საზოგადოების ახალი სული, ეროვნული მოქმედების ექსტაზი. დიდი ხანია საქველმოქმედო საზოგადოებას ცოცხალი საქმე არ გაუკეთებია; დიდი ხანია რაც მან შესწყვიტა კვალ და კვალ მიჰყოლოდა იმ ეროვნულ საჭიროებას, რომელიც დღითი დღე ფართოვდებოდა. დიდი ხანია, რაც საქვ. საზოგადოების პრაქტიკული საქმიანობა ჩამორჩა. იმ ეროვნული პიროვნების შეგნების მოთხოვნილებას, რომელიც დღითი დღე განიერდებოდა. საქველმ. საზოგადოების ფხიანი მოქმედების ხანიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი ცვლილებაც მოხდა, კერძოდ საქართველოს ეროვნული იდეისათვის

უაღრესად მნიშვნელოვანი. ეს იყო რუსის ჯარის მიერ ტრაპიზონის ვილაიეთის ოთხი სანჯაყის, ლაზისტანისა, ტრაპიზუნისა, გიუმიშ ხანესი და ჯანავის დაპყრობა, ეს იყო აგრეთვე იმავე ჯარის მიერ ბაიბურთის სანჯაკისა და ორი კაზის თორთუმისა და კისკის შემოერთება. ეს ადგილები, ისე როგორც აჭარა-შავშეთი, უკვე შევიდა გაერთიანებული საქართველოს ცნებაში. ამ ადგილების მკვიდრთა მუსულმან ქართველების საჭიროება და გაჭირვება ამიერიდან გამოუყოფელია ქართული ეროვნული ზრუნვისაგან. და რადგან პირველად საქველმოქმედო საზოგადოებას ხვდა წილად მუსულმან ქართველობაში ფეხის შედგმა და ქართული იდეის დაფუძნება სიტყვით და, საქმით ამიტომაც მას უნდა განეგრძო თავისი წინსვლა და მოქმედება რუსის ჯარის წინსვლა-მოქმედებასთან ერთად. ვიმეორებთ, ჯერ-ჯერობით მარტო ეს არის ერთად ერთი შედეგი საქართველოს იმ დიად მსხვერპლისა, რომელიც რუსეთის დროშის ქვეშ ეწირვება ომის ღმერთს. ამ შედეგით უნდა ფართედ ვისარგებლოთ...

განა თვით ლაზები არ გვითვლიან:*) „გადაგვარჩინეთ ჩარჩებს, მოგვიტანეთ გასასყიდი სიმინდი, ეს იქნება თქვენი ჩვენდამი ძმობა და სიკეთე. ამით გვიხსენით შიმშილისა და განადგურებისაგანო. გადაეცით ჩვენს ძმებს ჩვენი ულრმესი სალამი და პატივისცემა. აუწყეთ ჩვენი მდგომარეობა და ჩვენი სახელით სთხოვეთ შეძლების დაგვარად დაგვეხმარნენო!...“

ხალხი აუტანელ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. ნადირივით შიშველ-ტიტველი ტყე-ტყე დაიარება და ხილით იკვებება. ხომ ვიცით ის რომ თუ, რა ზომ შედეგიანია ასეთ პირობებში ძმასთან მისვლა და ძმური სიტყვისა და საქმის მიტანა! მაშ რა გვიშლის ხელს? —უფულობა? სრულებითაც არა! საქველმოქმედო საზოგადოებას ამის სალსარი მოეპოვება. მაშ რა ამბავია, რომ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილებასა და საქვ. საზოგადოების მთავარ გამგეობის ხელში არ ხერხდება და არ ეწყობა აჭარაში გამართული მუშაობის მზგავსი საქმიანობა?! მიზეზია მხოლოდ ჩვენი უილაჯობა და აპატია, სხვა არაფერი. გა ერთიანებული საქართველოს აღდგენა ამ წესით შეუძლებელია. გარჯა, მოქმედება და ბრძოლა იძლევა დღეს არსებობის უფლებას. თუ სიცოცხლე გვსურს, თუ გვინდა საქართველოც ძლიერი და დიდი ალგვიდგეს, ჩვენც უნდა ვიმოქმედოთ, ჩვენც უნდა ვიბრძოლოთ!

ს. კ.

*) იხილეთ ჰაიდარ ბეგ აბაშიძის მოხსენება ქართ. საქველმოქმედო საზოგადოების წინაშე გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

რუმინეთის მთავარ შტაბის ოფიციალი დეპეშის ცნობით სამხრეთ ასპარეზზე ქ. ტურტუკაიას მოწინავე სიმაგრეებზე მტერს 10-ჯერ მიუტანია საერთო იერიში. ამავე დროს იმავე სამხრეთ ასპარეზზე ბოლგარელებისა და რუსების ცხენოსანთა მოწინავე რაზმებს შეტაკება მოსვლიათ. ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით რუმინელებს რამოდენიმე მტრის იერიში მოუგერებიათ. ცოტა არ იყოს ყურს არ ესიამოვნება ამგვარი ცნობები, ისიც ახლად გამოსულ მოკავშირესაგან. რუმინეთის გამოსვლის შემდეგ თითქმის ყველა სამხედრო მიმომხილველი იმის ცდაში იყო, რომ როგორმე გამოეცნოთ და გაეთვალიწინებინათ, რას გააკეთებს, სად და ვის წინაალმდეგ დაიწყებს მთავარ ოპერაციების წარმოებას. გადაჭრით ერთხმად იმეორებდენ წინდაწინვე გაზეპირებულ შეხედულებას, ვითომ რუმინეთი უპირველესად ავსტრიას ეკვეთებოდა და ამრიგად რუსის ჯარის დახმარებით ძალიან მალე უნგრეთის ველზე გადიტანდა სამხედრო მოქმედებას. პირველი ნაბიჯები ახალ მეომრისა თითქოს ადასტურებდა კიდევაც ასეთ შეხედულებას. მან გადალახა ტრანსილვანიის საზღვრები, აიღო კრონშტატი დ ჩრდილოეთის მიდამოებით მტერს შეტევა დაუწყო. ადრევე ჩვენ არ დავეთანხმეთ აქ მოყვანილ შეხედულებას. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ტრანსილვანიაში და საზოგადოთ მთელ კარპატებში მოქმედება ჯერ ისედაც საერთოდ ძნელი საქმეა, და აბა რა იქნება შემოდგომაზე ანდა ზამთარში. გარდა ამისა ავსტრიელების წინაალმდეგ შესევას არ შეუძლიან გადასწყვიტოს სწორედ ბალკანეთის საკითხი. დღეს დღეობით ბალკანეთში მთავარი ძარღვი, რის გარშემოც მოქმედებს ცენტრალურ სახელმწიფოების სამხედრო და პოლიტიკური მექანიზმი, არის ბულგარეთი. ბულგარეთის დამარცხებით თავისით ფრთები ეკვეცება ავსტრიას და ამავე დროს მის მოპირდაპირეს გზას უხსნის სერბეთით თვით ავსტრო-უნგრეთის დედა გულს. ტრანსილვანიით მოქმედება არ შეიძლება. მდებარეობა ხელს არ უწყობს. დარჩა ბულგარეთი და სწორეთ რუმინეთიც იძულებული იქნება რუსეთის ჯართან ერთად ამ გადგომილ სახელმწიფოს წინაალმდეგ გაილაშქროს. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც რუმინეთს მეტად ხელს შეუშლის ფართო მოქმედების წარმოების დროს. თუ მაინც და მაინც ტრანსილვანიით სვლას ვერ შესძლებს, საფარის საკითხი მეტად გაუძნელებს საქმეს. ავსტრიელების ბრძოლის ხაზი ისეა შეჭრილი შუაგულ რუმინეთში, რომ ყოვლად შეუძლებელია მტერმა დრო არ იხელთოს, და თუ დაინახა მოპირდაპირეს გასაჭირი, ზურგით არ დაუწყოს შეტევა. ეს გარემოება აიძულებს რუმინელებს აქტიურ თავდაცვას დაადგნენ და საკმაო ძალები შეინარჩუნონ ამ ბრძოლის ხაზზე. სამხრეთ ასპარეზზე დაწყებული შეტევა, უეჭველია მალე ძალიან ფართო ხასიათს მიიღებს. შეიძლება მტერს მიზანში რუმინელების დედა-ქალაქიც ჰქონდეს ამოღებული, მით უმეტეს, რომ აქედან სულ ორი დღის გადასავალია ბუქარესტამდე. უეჭველია, დობრუჯშიაც მალე დაიწყება დიდი ბრძოლა, რადგან რუსების სამხედრო შტაბი უთუოდ საკმაო ძალებს გაგზავნიდა თავის მოღალატე მოძმეს წინაალმდეგ. ამ რიგად დიდი ოპერაციები სამხედრო ასპარეზით დაიწყება და თუ სარაილმა საბერძნეთის საკითხიც თავის ხელსაყრელად გადასწყვიტა, მაშინ ბულგარეთს ორივე მხრიდან მოუხდება თავისი მცირე ძალებით გამკლავება. ოსმალების ჯარების გაგზავნა რუმინეთისაკენ, სწორედ ამას მოწმობს. ეტყობა მტერმა არ იცის, რომ მთავარი ხიფათი აქედანაა მოსალოდნელი, ან და თვითონვე აპირებს ამ ხიფათის ქსელების გაბმას. რაც შეეხება საბერძნეთს, მისი გამოსვლა ძალიან მალე უნდა მოხდეს. გუშინდელ დეპეშების ცნობით თითქმის ყველა მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებია და ბრძანება გაუცია მთავრობას დაატუსაღონ გერმანელების აგენტები.

ამავე დროს მთავარ ასპარეზით, უფრო კი დასავლეთით, მოქმედება გაცხოველდა. ორივე მოპირდაპირე გაშმაგებით ერთმანეთს ეკვეთებიან. ჯერ-ჯერობით ინიციატივა მოკავშირეების ხელშია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ დაწყებულ ბრძოლას უფრო ტაქტიკური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

აღმოსავლეთ ასპარეზზე, კარპატებში რუსეთის ჯარი წინ მიიწევს. რა ხდება სტოხოდზე, გრძელდება ბრძოლა თუ არა, არ ვიცით, რადგან ოფიციალი დეპეშა ამის შესახებ არაფერს გვაუწყებს.

X.

# ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

**პეტროგრადი,** 23 აგვ. ოფიციალი. ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, ზემო სერეტის მიდამოებში 18 მარიამობის თვიდან 20-მდე წამოვიყვანეთ 115 აფიცერი და 4,514 ჯარის კაცი ტყვე, ხელთ ვიგდეთ 6 ზარბაზანი, 35 ტყვიის მფრქვეველი და 4 ყუმბარის სასროლი. კარპატებში ჩვენი ჯარი წინ სვლას განაგრძობს; ჩვენ ავიღეთ კიდევ რამდენიმე სიმაღლე. დობრუჯაში 22 მარიამობისთვეს მოხდა პირველი შეტაკება ბულგარელების მზვერავ რაზმთან. ჩვენებმა გასწყვიტეს თითქმის ყველა მზვერავი და ტყვედ წამოიყვანეს ერთი აფიცერი.

**კავკასიის ასპარეზი.** ღამით დაწყებული ოსმალების იერიშები ერძინჯანის დასავლეთით ჩვენებმა მოიგერიეს. უკან დახევის წინ ოსმალების ჯარმა დასწვა სამხედრო მასალების საწყობები.

სპარსეთში საკკიზის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენები ავიწროებენ მოპირდაპირეს.

**ბუქარესტი,** 23 მარ. ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზზე მცირე შეტაკება სწარმოებს. მთელ ბრძოლის ხაზზე ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები მერისორესთან და ხელთ ვიგდეთ სამხედრო მასალა. დეორეისთან ჩვენ ჩავიგდეთ 500 ვაგონი სურსათით და მოწყობილი საველე გოსპიტალი. მტერი მაროშის ზემო ნაწილში „დუმ-დუმის“ ტყვიას ხმარობს. აქ ჩვენ წამოვიყვანეთ 7 აფიცერი და 520 ჯარის-კაცი. სამხრეთ ასპარეზზე მტერმა დიდი ძალებით იერიში მიიტანა ტურტუკაიას წინა სიმაგრეებზე და 10-ჯერ წამოვიდა საერთო იერიშით. ჩვენებმა მტერი მოიგერიეს.

**პარიზი,** 23 მარ. ოფიციალი. გუშინდელ დღეს დაწყებული მდინარე სომაზე ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა და სასტიკი ხასიათი მიიღო. მდინარეს ჩრდილოეთით ჩვენ წინ წავიწიეთ სოფ. ფორეს დასავლეთით. გერმანელების სასტიკი იერიში კომალეს სამხრეთით ჩვენ მოვიგერიეთ. ყველა დაკარგული ადგილები შევინარჩუნეთ. 2 დღის განმავლობაში წამოვიყვანეთ 1500 ტყვე., ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიისფრქვეველი, მდ. სომმას სამხრეთით ფრანგების ჯარმა იერიში მიიტანა ბარლედან შონამდე მამაცმა ჯარმა განახორციელა დასახული მიზანი. ბარლე-დენეკურის მიდამოებში ჩვენ ავიღეთ პირველ წყების სანგრები და გავმაგრდით სოფ. ბერნისთან. სოფ. სუაკური რამოდენიმე იერიშის შემდეგ ავიღეთ. შელის სამხრეთით ჩვენმა ქვეითა ჯარმა აიღო პირველი წყება გერმანელების სიმაგრეებისა, დავიკავეთ სოფ. შელი, ავიღეთ „85“ სიმაღლე და შონის ტყის დასავლეთის ნაწილი. ჩვენმა მძიმე არტილერიამ გაფანტა გერმანელები, რომელნიც მიდიოდნენ ლიანკურფონშთან. სულ წამოვიყვანეთ 2700 ჯარისკაცი. მაასის მარჯვენა ნაპირას ჩვენებმა 100 მეტრით წინ წაიწიეს. 900 გერმანელმა იერიში მოიტანეს და უკან დაგვახევინეს. მხოლოდ შემდეგ ჩვენ იგინი ისევე გავდევნეთ და გავმაგრდით დაპყრობილ ადგილებზე.

**ლონდონი.** გუშინდელი ბრძოლა მდ. სომმის და ანკარის შორის საშინელი სიმკაცრით სწარმოებდა. მტერი საშინელ წინაალმდეგობას გვიწევდა და მრავალჯერ კონტრ-იერიშები მოჰქონდა. თითქმის ყველა მისი იერიშები უშედეგოდ დამთავრდა და ჩვენ ალაგიდან ვერ დაგვძრეს. ჩვენ ავიღეთ 3000 წყრთის სიგრძის სიმაგრეები და დავიკავეთ სოფ. გილლემონიშენში, რომელიც ჩვენ წინად მთლად დავიპყარით, იძულებული გავხდით უკან დაგვეხივნა მტრის სასტიკ იერიშების შემდეგ. სულ წამოვიყვანეთ 800 ჯარის-კაცამდე ტყვე.

**თეგერანი.** საექსპედიციო კორპუსის შტაბის მოხსენება: ისპაგანის მიდამოებში რუსის ჯარმა დაამარცხა ორიათას კაცისაგან შემდგარი ყაჩაღთა ბრბო ბახტიარებისა. ამ ამბავმა დიდათ გაახარა თეგერანი, სადაც რუსეთის მოწინაღმდეგე პირები დიდ იმედებს ამყარებდნენ ბახტიარების გამოსვლას რუსის ჯარის წინაალმდეგ. დაწვრილებით ეს ბრძოლა ასე მოხდა. ისპაგანის წინაალმდეგ სხვა და სხვა ადგილებში თავს იყრიდნენ სამი პარტია ბახტიარებსა, რომელთაც აზრად ჰქონდათ გაეყოთ რუსის ჯარი რამდენიმე ნაწილად და შემდეგ შესევოდნენ ისპაგანს. კაზაკებმა არ აცალეს მათ და რამდენიმე დღის წინედ მათ დაამარცხეს ერთი ბრბო შარიგ-ალიხანის მეთაურობით. ახლა დამარცხდა მეორე ყაჩაღთა ბრბო, რომელიც დაიძრა და დარბის მთებში. დარჩა მხოლოდ მესამე ბრბო ემირ მოფახანის მეთაურობით, რომელთანაც ახლაც არის გერმანელი აგენტი კარდორფი. დატყვევებული ყაჩაღები სახალხოთ იქმნენ ჩამოხრჩობილნი ისპაგანში. ამავე დროს ინგლისელების მისსიამ მიიღო ხელსაყრელი ცნობები ისპაგანიდან. პრემიერად ნამყოფი პრინცი ფერმან-ფერმი, რომელიც დაინიშნა გენერალ გუბერნატორად ორივე მოკავშირე სახელმწიფოს მისიების მიერ, ისპაგანიდან გავიდა და მივიდა ქ. აბადეში, სადაც გაგზავნილი არიან გერმანელების აგიტატორები.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### ბალკანეთის მდგომარეობა.

ოსმალეთი რომ რუმინეთს ომს გამოუცხადებდა, ეს მოსალოდნელი იყო მოკავშირე დიპლომატიისთვის. მოსალოდნელია, რომ რუმინეთს ბულგარეთიც ომს გამოუცხადებს და რუმინეთ-ბულგარეთის საზღვარზე სასტიკი ომი დაიწყება. ჯერ-ჯერობით არა ისმის რა თუ საბერძნეთი რა გზას დაადგება. ეს კია, რომ საბერძნეთში ხალხიცა და მთავრობაც ორ ბანაკად გაიყო. მოკავშირენი ყოველგვარად სცდილობენ, რომ საბერძნეთი მიიმხრონ. ამბობენ, მოკავშირენი საბერძნეთის წინაალმდეგ გადამწყვეტ ზომებს მიიღებენ, რათა საბერძნეთის პოლიტიკა სამუდამოდ გამოირკვასო.

### საბერძნეთის ვითარება.

ამ ჟამად საბერძნეთის ფართო წრეებში იმაზეა მსჯელობა, თუ რა გზას დაადგება საბერძნეთის მთავრობა, რა კი ბალკანეთში ნეიტრალ სახელმწიფოთა პირობები შეიცვალაო. ამის კითხვაზე პასუხს ვერ ვპოულობთ, რადგან თვით ზაიმისს ამ საკითხის გამო არაფერი უთქვამს.

ზაიმისის კაბინეტი მეტად რთულსა და ძნელ პირობებშია ჩაყენებული. მისი კაბინეტი მაშინ იყო შემდგარი, როცა მოკავშირეებმა საკითხები წარუდგინეს და მისთვის პასუხები უნდა გაეცათ, მაგრამ დღეს, როცა ბალკანეთის საქმეები სულ სხვანაირად დატრიალდა, ზაიმისი რას იზამს? თავისთავზე მიიღებს მთელს პასუხისგებას, თუ გადადგება?

მეორე საკითხი: შესძლებს თუ არა ასე რიგად არეულ-დარეული და სხვა და სხვა ბანაკად დაყოფილი საბერძნეთი მიხვდეს მომენტის სირთულეს და გულდამშვიდებულმა გადასწყვიტოს ყოველი საკითხი მისის ბედისწერისა, რომელიც კარგს არას უქადის მის ყოფაცხოვრებას?

### რას ამბობენ.

ჩვენ წინაშე აღიძრა ახალი სამხედრო კითხვებიო,—ამბობენ გერმანელები,—რომელთა გადაჭრაც არც ერთ ქვეყანაში არც ერთს ხალხს არაოდეს არ უკისრია. რუმინეთი ჩვენს წინაალმდეგ გამოვიდა, საბერძნეთიც გამოვა. ჩვენს ომის მიმომხილველთ ჰმართებთ ამას სათანადო ანგარიში გაუწიონ და არ დააკნინონ მნიშვნელობა ახლად ჩარეულ სახელმწიფოთა ჯარის ძლიერება.

კაიზერ ვილჰელმა საფრანგეთ-ბელგიის ფრონტი შემოიარა. ჯარს მხურვალე სიტყვით მოუწოდებდა და აფიცებდა, რომ „გერმანეთის წმინდა მამულზე“ მტერი არ შემოუშვათო.

ინგლისის პრესა ამ სიტყვებს აღნიშნავს და ამბობს: სჩანს შიში შეპარვია, როცა თვით კაიზერი ამბობს: მტერი არ შემოუშვათო.

# უკანასკნელი დეპეშები

**ამბობენ, ბულგარეთი რუმინეთს ომს არ გამოუცხადებსო იმ მოსაზრებით, რომ ამით საბერძნეთს საბაბი არ მისცეს და რუმინეთთან ხელშეკრულობის ძალით ბულგარეთს ომი არ გამოუცხადოსო.**

—

**„ფრაკფურტერ ცეიტუნგის“ სიტყვით: დიდიხანია ჰინდენბურგი მოწოდებული იყო სახელმწიფოს დიდი საქმეები გარდაეწყვიტა; ეხლა იგი ვილჰელმსა დ კანცლერთან ერთად მართველობის სათავედ გარდაიქცევა. ამ სამს კაცზეა მთელი პასუხისგება. ძნელად თუ მოიპოვება ისეთის ძლიერის ნების პატრონი, როგორიც ჰინდენბურგია.**

—

**„რუს. სლ.“ ატყობინებენ: ომის მიმომხილველნი ამ ბოლ დროს ერთხმად აღნიშნავენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ზლაჩევსკისა, გალიჩისა და კარპატის უღელტეხილის მიმართულებით ერთნაირად გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს.**

# ფინეთის ავტონომია

(საკუთარ კორესპოდენტისაგან)

**I. ფინეთი როგორც სახელმწიფო; II. ფინეთის ძველი კონსტიტუცია; III, ფინეთის განახლებული კონსტიტუცია და IV. ფინეთის არსებული მდგომარეობა.**

### 2. გენერალ გუბერნატორი

როგორც თავმჯდომარეს (პრეზიდენტს) სენატისას, გენერალ-გუბერნატორს წილი უდევს სენატის უფლებებში, რომლებიც შესდგებიან შემდეგში:

მიღება იმპერატორ-დიდ-მთავრის რესკრიპტებისა და გადაცემა სენატისადმი; მიღება სენატის მემორიებისა იმპერატორ-დიდ-მთავრის მისამართით და გადაცემა ფინეთის სტატს-სეკრეტარიატში, საიდანაც მიერთმევა იმპერატორს. გენერალ-გუბერნატორი მოვალეა თვალ-ყური ადევნოს სენატის საქმის წარმოებას, რათა სისწორით სრულდებოდეს ქვეყნის კანონები და იმპერატორის ბრძანებანი.

თუ მასა და სენატს შორის ერთი აზრი ვერ შემუშავდება ისეთ საკითხის შესახებ, რომელიც გადასაცემია იმპერატორის განსახილველად, მაშინ მას უფლება ეძლევა წარუმძღვაროს სენატის მემორიას საკუთარი აზრი.

იგი, როგორც ამას მისი პირდაპირი დანიშნულება მოითხოვს, არის უფროსი ქვეყნის ყველა აღმასრულებელ ორგანოებისა.

გენერალ-გუბერნატორის უფლებას შეადგენს კანდიდატების წარდგენა იმპერატორის წინაშე: სენატორებისა, პროკურორისა და გუბერნატორებისა.

გენერალ-გუბერნატორი არის სარდალი ფინეთის ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის და ფინეთის ჯარებისა.*)

### 3. ფინეთის სტატს-სეკრეტარიატი.

ყველა იმ საქმეთა წარმოებისათვის, რომელნიც კონსტიტუციის ძალით უნდა წარდგენილ იქმნენ იმპერატორ-დიდ-მთავრის წინაშე—არსებობს პეტროგრადში სტატს-სეკრეტარიატი, რომელიც შესდგება მინისტრ სტატს-სეკრეტარისაგან, მის ამხანაგისაგან და მის უდიდებულესობის ფინეთის საქმეთა კანცელარიისაგან.

მინისტრ სტატს-სეკრეტარი არის ის უმაღლესი პირი, რომელიც **პირადათ მოახსენებს იმპერატორ-დიდ-მთავარს** იმ საქმეთა შესახებ, რომლებიც მას გადმოეცემის სენატისაგან და გენერალ-გუბერნატორისაგან იმპერატორის განსახილველად.

ამ საქმეთა კრებულში არ შედის მხოლოდ სამხედრო საკითხი, რომლის შესახებ მოხსენების გაკეთება შეუძლია მხოლოდ იმპერიის სამხედრო მინისტრს.

მინისტრი სტატს-სეკრეტარი არის საშუალო პირი, რომლის მეოხებითაც ხდება ურთიერთ დამოკიდებულება ფინეთის ადგილობრივ მართველთა და იმპერიის მინისტრთა შორის. როცა საკითხი ერთნაირად ეხება ფინეთის დიდ სამთავროს და რუსეთის იმპერიას.

*) თუ რა ბედი ეწვია ფინეთის ეროვნულ ცხოვრობას 1901—5 წლებში, მკითხველთ ალბად ჩემ წერილებიდანაც მოეხსენებათ.

დ. ჩ.

სტატს-სეკრეტარიატთანვე არსებობს ფინეთის საქმეთა კომიტეტი, რომელიც შესდგება ოთხი წევრისაგან და რომლის თავმჯდომარედაც ითვლება მინისტრ სტატს-სეკრეტარი.

### საკანონმდებლო ორგანო სეიმი.

**საზოგადო დებულება.** სახელმწიფო მოხელენი (დეპუტატები) ფინეთის დიდ-სამთავროისა **შესდგებოდენ ოთხ** წოდებისაგან: თავად-აზნაურთა, სასულიერო, მოქალაქეთა (ქალაქთა წარმომადგენელნი) და გლეხთა (სასოფლო თემთა წარმომადგენელნი).

ყველა ამ წოდებებს ჰქონდათ ერთნაირი კომპენტენცია და თანასწორი უფლება. სხვანაირად რო ვსთქვათ, **სეიმი ოთხ პალატიანი იყო,** რომელიც იკრიბებოდა დრო-გამოშვებით, დაახლოვებით 5 წელიწადში ერთხელ.

იმპერატორი-დიდი-მთავარი ჰკრებს სეიმს, როგორც ჩვეულებრივს ისე საგანგებოს. სეიმი იკრიბება ფინეთის დედა-ქალაქ ჰელსინგფორსში (ჰელსინკში). სეიმის ნორმალური სესია გრძელდებოდა 4 თვეს.

**აზნაურთა წოდება.** ამ წოდებაში წარმომადგენლის უფლება ეკუთვნოდა ჩამომავლობითი გადაცემით ყველა კეთილშობილ გვართა უფროსებს. ასე რომ, ყოველ გვარს ჰყავდა თითო წარმომადგენელი აზნაურთა პალატაში, რომელიც იკრიბებოდა ცალკე. აზნაურთა პალატაში დეპუტატების რიცხვი იცვლებოდა 100—140-დე.

**სასულიერო წოდება.** ამ წოდების წარმომადგენლად იყვნენ სხვა და სხვა პროვინციების სასულიერო პირნი და ჰელსინგფორსის უნივერსიტეტის და სასწავლებელთა დეპუტატები, რომელთა რიცხვი საზოგადოდ აღწევდა 39-დე.

**მოქალაქეთა წოდება (ბურჟუაზია).** ამ წოდების წარმომადგენელნი იყვნენ ქალაქებიდან. ამომრჩევლის უფლება ჰქონდა ყველა კანონიერ მცხოვრებს ქალაქისას, რომელიც წესიერად იხდიდა მაზე გაწერილ საზოგადო გადასახადებს. ამათგან ამომრჩევლის უფლება არ ჰქონდათ მხოლოდ: ქალებს, ჯარისკაცებს, მატროსებს და ხელზე მოსამსახურეებს. ქალაქში არჩევნები ხდებოდა **პირდაპირი.** დეპუტატთა რიცხვი ამ წოდებისა აღწევდა 54-დე.

**გლეხთა წოდება.** სოფლის თემები ირჩევდენ თითო დეპუტატს ყოველ სამოსამართლო ნაწილში (domsagâ), რომლის რაოდენობაც, დაახლოვებით, 60-დე აღწევდა. მაშასადამე, დეპუტატთა რიცხვიც იმდენივე, ე. ი. 60 იყო. არჩევნები ხდებოდა **არა-პირდაპირი.**

**ამორჩეული და ამომრჩეველი.** სასულიეროსა, სამოქალაქოთა და საგლეხო წოდებებში ამომრჩევლის უფლება ჰქონდა ყველა სრულ წლოვან მოქალაქეს 21 წლისას, იმ რაიონში რომელშიც სცხოვრებდა. რაც შეეხებოდა ამორჩეულს, ე. ი. დეპუტატს, კანონით იგი უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 25 წლისა.

**სხდომები.** სეიმის მოქმედება ერთი სესიით, ე. ი. 4 თვით განისაზღვრებოდა, რომლის შემდეგ მორიგ სეიმამდე უნდა გასულიყო არა ნაკლებ 5 წლისა. სეიმის ოთხივე წოდების წარმომადგენელნი ცალკ-ცალკე ახდენდენ სხდომებს. თვითეულ წოდების დადგენილება ეცნობებოდა დანარჩენ წოდებათა პალატებს.

ოთხ-პალატიან ფინეთის სეიმში ხდებოდა აგრეთვე შეერთებული საერთო კრებებიც, რომელზედაც თავმჯდომარეობდენ თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი. ყველა პალატის სხდომები ღია იყო გარეშე საზოგადოებისთვის.

აზნაურთა პალატაში მსჯელობა ხდებოდა მხოლოდ შვედურ ენაზე, ხოლო დანარჩენ სამ პალატაში კი შეიძლებოდა როგორც შვედურ, ისე ფინურ ენებზე.

### სეიმის დადგენილება

სეიმის ოთხივე პალატაში საკითხი სწყდებოდა ხმის უბრალო უმეტესობით. კანონ-პროექტის კანონად ქცევისთვის საჭირო იყო ზოგჯერ ოთხივე პალატის თანხმობა, ზოგჯერ კიდევ მხოლოდ სამ პალატისა; ეს დამოკიდებული იყო შემდეგ გარემოებაზე: თუ **კანონმდებლობის საგანი შეეხებოდა ძირითად კანონის შეცვლას, მაშინ უეჭველად საჭირო იყო ოთხივე პალატის (წოდების) თანხმობა,** დანარჩენ შემთხვევებში კი საკმარისი იყო მხოლოდ სამი პალატის შეთანხმება.

**სეიმის უფლებანი.** ქვეყნის წოდებათა წარმომადგენელნი, შეკრებილნი სეიმზე, წარმოადგენდენ მთელ ერს ფინეთისას მათ ეკუთვნოდა, იმპერატორ-დიდ-მთავართან ერთად, **საკანონმდებლო** უფლება, ე. ი. **კანონმდებლობის უფლება კოლექტიურად ეკუთვნოდათ სეიმსა და იმპერატორ-დიდ მთავარს.** ისინი აწესებდენ გადასახადებს და აგვარებდენ ქვეყნის ფინანსებს.

სეიმი, საკუთარის წარმომადგენლის საშუალებით, კონტროლს უწევს ფინეთის სახელმწიფო ბანკს. სეიმს უფლება აქვს გამოსთქვას თავისი აზრი (Aois) საადმინისტრაციო პროექტების შესახებ, რომელნიც წარედგინება მას იმპერატორ-დიდ-მთავრის მიერ. სეიმს აქვს უფლება პეტიციისა, რომლითაც, სხვათა შორის, შეუძლია ითხოვოს კანონ პროექტი. ეს უკანასკნელი უფლება სეიმს უმცირებს იმ ნაკლს, რომელიც მას შეზღუდული აქვს ინიციატივის უფლებაში. საქმე მდგომარეობს შემდეგში: იმ დროს, როდესაც იმპერატორს აქვს ინიციატივის უფლება კანონ-მდებლობის ყოველ დარგში, სეიმი შეზღუდულია შემდეგის პირობებით: მასაც აქვს ინიციატივის უფლება, ხოლო არა იმ დარგში, რომელნიც შეეხებიან **ძირითად კანონებს, ქვეყნის დაცვას და წერის თავისუფლებას.**

### მოქალაქეთა უფლებანი

**წოდებათა პრივილეგია-უპირატესობანი.** უძველეს დროს, შვედურ კანონების მიხედვით, მიღებული იყო **სისტემა თანასწორობისა ყველა მოქალაქეთა კანონის წინაშე.** თავად-აზნაურთ ერთი უპირატესობა ჰქონდათ შერჩენილი ძველ უპირატესობიდან—ეს იყო **საკუთარი აზნაურთა პალატა.**

სასულიერო წოდებას კი შერჩა ძველი უპირატესობანი, რაც მდგომარეობენ შემდეგში: **ლიუტერანული ეკლესია იმყოფება სახელმწიფოს მფარველობაში** და სასულიერო წოდებასაც ნივთიერი კეთილდღეობა მოგვარებული აქვს სახელმწიფოს დახმარებით.

მოქალაქეთა წოდებაში სრული თანასწორობა იყო, რის გამოც მოსპობილ იყვნენ უძველეს დროის გილდიები და ცეხები, რომელნიც ჰყოფდენ ვაჭრებს და ხელოსნებს კარჩაკეტილ კორპორაციებად. ქალაქთა სამართველოებში და სეიმის დეპუტატთა არჩევნებში პატენტიან ბურჟუაზიას არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა.

გლეხთა წოდებისთვის დაცული იყო პრინციპი თანასწორობისა. მათ უფლება ჰქონდათ ესარგებლათ თავი-

ავსტრიელებს კარგად ესმით, თუ ზლაჩევსკისთან ბრძოლა წააგეს, რუსის ჯარი პირდაპირ ლვოვს დაემუქრება, სადაც ლეოპოლდ ბავარიელი მოქმედებს. ამ ბოლო დროს ავსტრიელებმა ლვოვის რაიონში დიდძალი სიმაგრეები ააგეს. მთავარი მნიშვნელობა, მცოდნე პირების რწმუნებით, დორნა-ვატრას მიმართულებით წინსვლას აქვს, სადაც რუსის ჯარის მოქმედება შეთანხმებულია რუმინეთის მოქმედებასთან.

—

უკანასკნელ ცნობით რუმინელებმა ტრანსილვანიაში 73 ვერსით წინ წაიწიეს. ინგლისის პრესა მეტად განცვიფრებულია, რომ ავსტრიელებმა ასე უცბად უკან დაიხიეს. ამ გარემოებას ჯარის სიმცირეს აბრალებენ, მაგრამ თან დასძენენ, რომ ნაადრევი იმედი არ უნდა გვქონდეს და შესაძლებელია, რომ მოწინააღმდეგე შუაგულ ტრანსილვანიაში, მთაგორიან ადგილებში გამაგრდეს.

—

მარაკი ამბობს: ჰინდენბურგის დ ნიშვნას საგულისხმო ამბები მოჰყვება.

—

რუმინეთის ელჩები ჯერ-ჯერობით ბერლინიდან არ წასულან. ისინი ბუქარესტიდან მუშის და ჩერნინის დაბრუნებას ელოდებიან.

—

ბულგარეთის ჯარმა საბერძნეთის ტერიტორია სისწრაფით გაანთავისუფლა. ბულგარეთის ჯარს ჩრდილოეთის საზღვარზე დაბრუჯთან მოუყარეს თავი.

## კარლო ჩხეიძის დეპეშა

პეტროგრადი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, (კოპიო გზათა მინისტრს). 28 მარტის 1915 წ. დროებითი დებულებათათა გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყველა კატეგორიის მსახურთ, რომელნიც კი თავისი სამსახურის ადგილით დაშორებულნი არიან ომის ასპარეზს ასი ვერსის მანძილზე, ეძლევათ ეგრეთ წოდებული სამობილიზაციო შემწეობა. 1915 წლის ნოემბრიდან ეს დებულება გავრცელებულია აგრეთვე ცენტრალ რაიონზე—თბილის-მცხეთა-ნავთლუღზე. სხვა რაიონის მოსამსახურენი კი ამ ფულს არ იღებენ, მიუხედავათ არა ერთი შუამდგომლობისა.

ცნობებით კავკასიის უმაღლესმა მთავრობამაც საჭიროდ სცნო ამ დებულების გავრცელება ყველა რაიონის მსახურებზე. ეხლა ეს კითხვა გადაცემულია საუწყებათაშორისო კომისიას სახელმწიფო კონტროლის თავმჯდომარეობით.

პირადი დაკვირვება და შესწავლა ადგილობრივი ცხოვრებისა ნებას მაძლევს დავადასტურო, რომ ცხოვრების სიძვირით და სხვა პირობათა მხრივ მდგომარეობა იმათი, ვინც არ იღებს ამ შემწეობას უკეთესი არ არის, ზოგიერთ შემთხვევაში კი უფრო მძიმეა შედარებით მათთან, ვინც იღებს ამ შემწეობას. ამისათვის ამ დებულების გავრცელება, და რაც შეიძლება ჩქარა, ყველა მოსამსახურეებზე იქნებოდა ყოვლად სამართლიანი აქტი. ამას ვშუამდგომლობ ჩემის მხრითაც.

**სახელმწიფო სათათბიროს წევრი ჩხეიძე.**

---

სუფალ ხაზაზინო მამულებით, მოიჯარადრის პირობებში, და სეიმში ჰყავდათ საკუთარი წარმომადგენელნი.

**ფინეთის მოქალაქეთა უფლებანი და მოვალეობანი.** პიროვნების თავისუფლება უზრუნველყოფილია კანონებით.

კანონი არ ეწინაამდეგება სახალხო კრებებს.

აკრძალულია საიდუმლო საზოგადოებანი. წერის თავისუფლება ვერ არის უზრუნველყოფილი კანონით.

სახალხო სკოლები ღიაა ბავშვებისთვის, განურჩევლად წოდებისა (კლასისა).

სინიდისის თავისუფლება აღიარებულია პრინციპიალურადა.

**ფინანსები.**

შეიძლებოდა ფინანსების საკითხი სრულიად გამომეშვა, მსგავსად სხვა მეორე ხარისხოვან საკითხებისა, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროდ მიმაჩნია ამის შესახებაც ცოტა რამის გაზიარება, რადგან ფინეთში ეს საკითხი მეტად თავისებურად, ორიგინალურად არის გადაწყვეტილი!

სახელმწიფო ბიუჯეტი შესდგება ორ ნაწილისაგან: **ჩვეულებრივისა და საგანგებოსაგან,** ესე იგი ორდინარი და ექსტრა ორდინარი. ასეთ დაყოფას საფუძვლად სრულიადაც არ უძევს ჩვეულებრივი ფინანსიური თვისების შემოსავალი და გასავალი; ეს დაყოფა გვიჩვენებს მხოლოდ უფლებათა საზღვრებს ფინანსიურ საქმეებში, რომელიც აქვთ იმპერატორ-დიდმთავარს ერთის მხრივ და სეიმს მეორეს მხრივ. **ჩვეულებრივი (ორდინარ) ბიუჯეტის დადგინებაში იმპერატორ-დიდი მთავარი სრულიად დამოუკიდებელია სეიმისაგან**[5]).

ჩვეულებრივ ბიუჯეტის შემოსავალი წყაროებია შემდეგი: სახელმწიფო კაპიტალებისა და ქონებათა შემოსავალი, საფოსტო და საზოგადო სახლთა გადასახადები, მუდმივი სახელმწიფო გადასახადები, დამოჟნის შემოსავალი და სხვანი.

ჩვეულებრივ ბიუჯეტიდან იფარება სახელმწიფოს ნორმალური გასავალი, ესე იგი: მთავრობაზე, ადმინისტრაციაზე, საზოგადო დაწესებულებებზე და სხვაზე. აქ სრულდება დიდ-მთავრის უფლებანი.

**საგანგებო (ექსტრა-ორდინარი) ბიუჯეტი სეიმის სრულს განკარგულებაშია.** იგი არსებობს მხოლოდ 1865 წლიდან და შესდგება შემდეგის შემოსავალ წყაროებიდან: ყველა იმ შემოსავლისაგან, რომელიც დამოკიდებულია სეიმის გადაწყვეტილებაზე, მაგალითად; დროებითი ანუ საგანგებო გადასახადები, მთავრობის რკინის გზათა შემოსავალი, ფინეთის ბანკისა და სახელმწიფოს სესხები შემოსავალი. ასეთია საგანგებო ბიუჯეტი და სეიმის უპირატესობა ამ საკითხში.

დასასრულ, იმპერატორ-დიდ-მთავრის ერთ უფლების შესახებ: ომის დროს მის უდიდებულესობას უფლება აქვს დააწესოს ახალი გადასახადები ომის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლის გათავების შემდეგაც იმპერატორ-დიდ-მთავარმა უნდა მოუწოდოს სეიმს და შესწყვიტოს ახალ გადასახადთა შეკრება.

**დ. ჩიქოვანი.**

(შემდეგი იქნება)

---

[5]) ამ საკითხის შესახებ მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ამ წერილის იმ ნაწილს, სადაც ფინეთის განახლებულ კონსტიტუციას და იმპერატორის უფლებათა შეკვეცას ვეხები. დ. ჩ.

## ახალი ამბავი

◆ **მეფის ნაცვლის განცხადება:** მთავარ სარდალმა კავკასიის ლაშქრისამ, მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, შემდეგი განცხადება გამოსცა 22 მარიამობისთვის თარიღით, შავი ზღვის პირის ოლქის მცხოვრებთა საყურადღებოდ: 1) ტელეგრაფის და ტელეფონის მავთულების განზრახ წახდენისათვის ან ისეთ მოწყობილების გამართვისათვის, რომელიც დააზიანებს მუშაობას ტელეფონ-ტელეგრაფისას დამნაშავეთ 3 თვე ციხე ან 3 ათასი მანეთი ჯარიმა ექმნებათ მისჯილი. 2) ვინც განზრახ წაახდენს ტელეფონს, ტელეგრაფს, ან სხვა ისეთ სადგურს, რომელიც ცნობათა გადაცემას ემსახურება, დაისჯება საომარ დროის კანონის მიხედვით. 3) ტელეგრაფის და ტელეფონის ლიანდაგის დაცვა დაეკისრა ადგილობრივ მცხოვრებთ და სათანადო განკარგულება ევალებათ ადგილობრივ მთავრობას. 4) იმ ბოროტ-მოქმედთა გარდა, რომელნიც ტელეფონის და ტელეგრაფის წახდენაში იქნებიან ცნობილნი დიმნაშავენი, პასუხს აგებენ მახლობელი ადგილობრივი მცხოვრებნიც. ესენი ადმინისტრატიული წესით 4 ათასი მანეთით იქნებიან დაჯარიმებულნი. 5) ადმინისტრატიულ სასჯელის გადაწყვეტა დავალებული აქვთ სათანადო ციხეების კომენდანტებს, სამხედრო გენერალ-გუბერნატორებს, სოხუმის ოლქის უფროსს და ქ. ტრაპიზონის უფროსს. ეს განცხადება ძალაში შედის დღიდან გამოცემისა.

◆ **ბოსტნეულობის შესყიდვის აკრძალვა.** მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწემ გენ. იანუშკევიჩმა ბრძანება გამოსცა, რომლის ძალით კერძო პირებს აეკრძალათ ბოსტნეულობის შესყიდვა. თანახმად ბრძანებისა ყოველგვარ ბოსტნეულობის შესყიდვა და დამზადება, ისე როგორც მისი გატანა რკინის გზის რომელიმე სადგურიდან, მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებულის ნებადაურთველად აღკრძალულია. ამ ბრძანებაში ნაჩვენებია ის ადგილებიც, საიდანაც ნებადაურთველად სყიდვა-გაზიდვა აღკრძალულია. სხვათა შორის თბილის-ბათომს შუა შემდეგი ადგილებია ნაჩვენები: 1) სადგურ ვარვარინოდან სადგურ კასპამდე, ბორჯომიდან ხაშურამდე, ხაშურიდან სურამამდე 20 ვერსის მანძილზე ე. ი. რკინის გზის ლიანდაგის 10 ვერსის მანძილზე თითო მხრიდან. 2) სამტრედიიდან ყვირილამდე აგრეთვე 10 ვერსის მანძილზე ლიანდაგის თითო მხრიდან. 3) ქ. თბილისის გარშემო სს. გლდანსა, დიღომსა და ავჭალაში. ამ ბრძანების დარღვევისათვის დამნაშავენი ადმინისტრატიულ წესით იქმნებიან დაჯარიმებულნი 3000 მანეთით ან 3 თვის ციხით.

◆ **მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი** ბ-ნი პროტასიევი აცხადებს, რომ მას მეფის ნაცვლის დიდ მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დავალებით მიენდო გამოკვლევა სურსათის საქმის წარმოებისა თბილისში და იმ წესისა, რომლითაც სწარმოებს ვაგონების განაწილება თბილისში სანოვაგისა და სხვაგვარ საქონლის ჩამოსატანად. ამის გამო იგი სთხოვს ყველას, ვინც კი მოისურვებს ამ საკითხებზე რამე ცნობების მოწოდებას, მიმართოს მას წერილობით ან პირადად მეფის ნაცვლის კანცელარიის ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა) დღის 12 საათიდან 2 საათამდე. ამასთან ერთად აცხადებს, რომ თუ ვინიცობაა დანიშნულ დროს იგი იქ არ იყოს, ამ ცნობების მომტანმა უნდა მიმართოს მეფის ნაცვლის საგანგებო საქმეთა მინდობილების მოხელეს, ბ-ნ ოპოჩინინს.

◆ **პოლიტეხნიკუმის საკითხი.** გუშინ მეფის ნაცვლის საბჭოში ბ-ნ ისტომინის თავჯდომარეობით განხილულ იქმნა პოლიტეხნიკუმის ბინის საკითხი. რადგან შენობის აგება დღევანდელს პირობებში ყოვლად მოუხერხებელია, ამიტომ დროებით შენობა უნდა დაიქირავონ, ასეთ შენობად საბჭომ სცნო ვაჟთა მეორე გიმნაზიის ბინა და თან დაავალა სხვა შენობებიც დაათვალიეროს.

◆ **ჰანების დახმარება.** 23 მარიამობისთვეს, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ მ. ვ. მაჩაბლის თავმჯდომარეობით მოისმინა ჰაიდარ ბეგ აბაშიძის ვრცელი მოხსენება ჰანეთის გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ და დაადგინა: გაეგზავნოს ბათომის განყოფილებას 5,000 მანეთი ჰანეთში სიმინდის გასაგზავნად და კიდევ 5,000 მანეთი ტრაპიზონის რაიონში თავშესაფარის დასაარსებლად. გარდა ამისა გამგეობამ მიანდო საექიმო სექციას ჰანეთში კაცის გაგზავნა, რათა გამოკვლეულ იქმნეს რამდენად საჭიროა იქ საექიმო დახმარების აღმოჩენა. ამის გარდა დაადგინა: მიმართოს საზოგადოებას პრესის საშუალებით მოწოდებით ჰანების დასახმარებლად.

◆ **ტრამვაის მსახურთა გაფიცვა.** გუშინ, დილით ტრამვაის მსახურნი გაიფიცნენ და $8^1/_2$ საათამდე ქალაქში ტრამვაის მოძრაობა შეჩერებული იყო. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჯარში გაწვეულთ შეღავათის მიმცემმა ქალაქის კომიტეტმა მხოლოდ ორას მსახურს მისცა ვადა 1 იანვრამდე და ოთხმოც სხვას კი უარი უთხრა, იმ მიზეზით, რომ ეს მოსამსახურენი მიმდინარე წლის 1 იანვრიდან იყვნენ მიღებულნი. გაფიცული მოსამსახურენი ინახულა თბ. პოლიცმეისტერმა ბ-ნ ზდანოვსკიმ და წინადადება მისცა—თუ მუშაობას არ დაიწყებთ იმ 200 კაცსაც მოუსპობთ ჯარში გაწვევის შეღავათსაო. ამის შემდეგ ტრამვაის მსახურნი მუშაობას შეუდგნენ.

◆ **კავკასიის და ამერიკის ვაჭრობა.** ამ დღეებში ვაჭართა მამასახლისის მოადგილის ა. ა. ენფიანჯიანცის თავმჯდომარეობით უნდა შესდგეს კრება, რომელსაც დაესწრება ამერიკიდან ჩამოსული ექიმი ბ-ნი ხატინგტონი და ამერიკის კონსული თბილისში, ბ-ნი სმიტი. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი სავაჭრო კავშირის შეკვრისა ჩრდილოეთ ამერიკასა და კავკასიას შორის.

◆ **სვანების შემწეობა.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ მიიღო ცნობა, რომ 2000 მანეთი, რომელიც სვანებისათვის გადასდო გამგეობამ უკვე დაურიგებიათ.

◆ **ტყვე ქართველი მეომარნი.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ მიიღო მხედველობაში მეტად გაჭირვებული და უმწეო მდგომარეობა საზოგადოდ ტყვეებისა მოწინააღმდეგეთა ქვეყნებში, გადასწყვიტა 500 მანეთი გადადოს დასახმარებლად და მოწოდებითაც მიმართოს საზოგადოებას შემოწირულების გამოსაღებად.

◆ **ქართულ მუზეუმისთვის** წ. კ. საზ. გამგეობამ საჭიროდ სცნო შეძენა ფოტოგრაფ ერმაკოვისაგან ნეგატივების კოლექცია, ხოლო ნეგატივების წინასწარი გაცნობა, და ისტორიული ნეგატივების რიცხვისა და ღირსების გამორკვევა დაევალოს დ. გ. კარიჭაშვილს.

◆ **თათბირი სურსათის გამო.** 26 მარიამობისთვეს, თბ. გუბერნატორის, კოოპერატივების, პრესის და სხვ. დაწესებულებათა მონაწილეობით დანიშნულია კრება სურსათის საკითხის გამოსარკვევად.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. მთავარმა გამგეობამ** დაადგინა მიეცეს სენაკის განყოფილებას 500 მანეთის სახელმძღვანელოები ნისიათ.

◆ **დედა-ენის** პირველ ნაწილს წერა-კითხვის გამგეობამ დაადო ფასად 25 კ. უყდოთ და 30 კ. ყდით. მეორე ნაწილს 60 კ.

◆ **ნ. ნაკაშიძის მოხსენების** თანახმად წერა-კითხვის გამგეობამ დაადგინა გაეგზავნოს სოხუმის განყოფილების გამგეობას ამ თავად 5000 მან. და მოეთხოვოს დახარჯული ფულის ანგარიშები.

◆ **ილიას ძეგლის** გასამაგრებლად წერა-კითხვის გამგეობამ კიდევ 50 მ. გადასდო და ინჟ. მამრაძეს მიმართა თხოვნით გასწიოს მეთვალყურეობა გამგეობის მხრით.

◆ **ფარმაცევტთა საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება 26 მარიამობისთვესაა დანიშნული, სამკურნალო საზოგადოების დარბაზში.

◆ **საყინულე.** ქალაქის გამგეობა მუხრანის ხიდთან ხსნის საკუთარ საყინულეს და ყინულის სავაჭრო საწყობს.

◆ **განაპირა ქუჩების სახელების** დარქმევა და დანომრვა საბჭოს სხდომაზე იქნება განხილული.

◆ **შეშის ფასები.** ქალაქის გამგეობამ წარუდგინა გუბერნატორს ახალი ნიხრი შეშაზე: რცხილის შეშა, რომელიც დღემდე საჟენი 65 მან. იყიდებოდა, უნდა 85 მან. გაიყიდოს შერეული შეშა საჟენი 61 მან. ნაცვლად 80 მან. რბილი ხის შეშა 57 ნაცვლად 75 მანეთად გაიყიდება. ფუთობით; ხმელი შეშა ნაცვლად 30 კ. —40 კაპეიკად და ნედლი—ნაცვლად 25 კ.—30 კაპეიკად.

◆ **თავშესაფარების დახმარება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ დაადგინა გაეგზავნოს 3000 მან. ბათომის განყოფილებას, ბათომის თავშესაფარის ხარჯების გასაძლოლად 1 იანვრამდე, ახალციხის განყოფილებას 5000 მანეთი ს. უდეს და ახალციხის თავშესაფარებისათვის. თვითოეულ თავშესაფარს ერგება ამ თანხის ნახევარი.

◆ **გაემგზავრა ახალციხის მაზრაში** თავმჯდომარე ქართ. საქვ. მოქმ. საზ. გამგეობისა მ. ვ. მაჩაბელი, რომელიც დაათვალიერებს საზოგადოების დაწესებულებებს.

◆ **მასწავლებლების დანიშვნა.** წერა-კითხვის საზ. გამგეობამ თასმალოს სკოლაში დანიშნა მასწავლებლად ს. ი. მეფარიძე, წერაქვის სკოლაში—ივლიტა კოტეტაშვილი, ყალამშიისაში—პროკლე დევიძე, მოიდანახესაში—ქსენია კაკაბაძე. ბაისუბნის სკოლისთვის არჩეულ იქმნას კანდიდატათ ე. ი. შავლიაშვილი, რის შესახებაც ეცნობოს ადგილობრივ მღ გოცირიძეს. კანდიდატებად არჩეულ იქმნენ ელენე გამყრელიძე და ვერა ბარნაბაშვილი.

◆ **ბ. ჰინჰარაძისაგან** შემოწირულ 1 მ. 90 კ. ნაყიდი წიგნები გაეგზავნა სოფ. ორთა-ბათუმის სკოლაში მოსწავლე ქართველ მაჰმადიანს ომერა ცენტერაძეს.

## ქართველი „ვოსტორგოვები" კიდევ არიან საქართველოში!

დიახ, „ვოსტოროგოვები" არიან კიდევ, ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენს ტანჯულ ქვეყანაში. უფრორე სავალალო ის არის, რომ ჩვენი ქართველი მამები, ერის „სულიერი მასწავლებელნი" — „ვოსტოროგოვობენ" — მის ფეხის ხმას ასდევნებიან, სიდაც დაწიხლულ ენას—სწიხლავენ და ცნობილი ტერმინით—„ძაღლის ენა"-თი ამკობენ. ამ „ქართველ მამათა" ლიდერათ უნდა ჩაითვალოს სოფ. მარტყოფის მთავარ-ანგელოზის მღვდელი მამა იოანე თუშმალოვი.

სოიცარია, მეტად სოიცარი, რომ იმ დროს, როცა ერში იღვიძებს მშობლიურ ენისადმი სიყვარული და ტრფიალი, იმ დროს, როდესაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ესე მწვავედ გვიდგა ცხვირ წინ, როდესაც დიდი და პატარა ამ საკითხის გარკვევას ალევს ძალას და ენერგიას, მაშინ, სწორედ ამ დროს მამა იოანე თუშმალოვი ხალხში აგიტაციას ეწევა მის წინააღმდეგ, სახალხოდ ჰგოდებს და გაჰკივის „თუ ცოცხალი მაინც ვერ მოვესწარ ქართული ენის, ქართული წირვა-ლოცვის აღმოფხვრას, საფლავში მაინც ჩამომძახეთო".

სასოებით, მეტად დიდ სიყვარულით „ტკბილ" ტენორით ასრულებს რუსულად ქართველ სოფელში, ქართულ ეკლესიაში რუსულ ამაღლებელ საგალობელს. დასამტკიცებლათ ყველა ზემოთ აღნიშნულისას მოვიყვანთ—მ. თუშმალოვის და სოფ. მარტყოფის მამასახლისის ივ. ებიტაშვილის შელაპარიკების ასლს; *) სადაც მ. თუშმალოვი ამტკიცებდა ქართული ენის, წირვა-ლოცვის და გალობის დაჩიავებას, დახავსებას—და თითქმის, რომ „ძაღლის ყეფას"—დაადარა,— სამაგიეროთ რუსული ენა-გალობა და წირვა-ლოცვა ცით მოვლინებულ წყალობით, ჩვენ ქართველთათვის, ჩასთვალა.

ჩვენ ამის საწინააღმდეგო, რომ რუსული ენა-გალობა მშვენიერია, რასაკვირველია, არა გვაქვს-რა, მხოლოდ იმ ენის, რომელიც 3000 წელიწადზედ მეტია რაც არსებობს, მოვიყვანთ მწერლის სტალინსკის სიტყვებს, და რამდენიც გსურთ სხვა გამოჩენილ მკვლევართა და მწერალთა სიტყვებს, —რომ „ქართული ენა ერთ-ერთ მდიდართაგანი ენაა; სილამაზით და ტკბილ-ხმოვანებით ფრანგულ და იტალიანურ ენებს არ ჩამოუვარდება"— მეტად სამწუხაროა და დასაგმობი.

შემდეგ წმინდა მ. ანტონის მარტყოფელის მონასტრის დღეობაში— 15—16—მარიამობისთვეს, სადაც რამდენიმე ათას ქართველ გლეხკაცობას და ინტელიგენციას მოეყარა თავი და ბევრი მათგანი შორის სოფლებიდან იყვნენ მოსულნი, მაგალითად ქიზიყიდან, თიანეთის მაზრიდან და სხვა—ქართული წირვალოცვა ვერ მოვისმინეთ—თუმცა ოთხი ქართველი მღვდელი იყო, მათ შორის მამა იოანე თუშმალოვიც. ამ მამათა საქმე იყო ქართული წირვალოცვა და არა დანგრეულ რუსულის ენით—„ღოსპოდი პომილუიით"—გამასპინძლება ქართველთ მოზღვავებული სალოცავათ გლეხკაცობისა, რომელნიც გამობენტერავებულნი იდგნენ ეკლესიაში და მოძღვრების ლოცვაკურთხევისა არა გაეგებოდათ რა. სხვათა შორის ეპისკოპოსმა ერევნისამ დამიანემ (რუსია) მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა რუსულად, მთელი ნახევარი საათი ილაპარაკა და ყურს ვინ უგდებდა ან ვის ესმოდა—ნ-ოდე რუსს მლოცველს. იქ მყოფმა ქართველმა მამებმა არც ერთმა არ ინებეს ქართულად გადმოცემა ქართველ მლოცველთათვის, მაგრამ ეგეც კია, შესძლებდნენ გადმოცემას?

სავალალოა, სავალალო—ქართულ მონასტერში ერთი ქართული „უფალო შეგვიწყალენი" ვერ მოისმინოს ადამიანმა.

მაშ, მაგრათ მამაო იოანე!—რუსულად, რუსულად—რუსული გაძლევს პურს არსებობისას!— დაბლათ! სულ დაბლათ, ქუდმოხდილმა, ელოლიავე ყოვლად სამღვდელო დამიანეს და სხვებს, შეასხი ქება-დიდება შენს ღმერთს იოანე ვოსტორგოვს—ეგებ როგორმე სკუფიის მაგივრათ მიტრა მოგანიჭონ და დეკანოზად გაკურთხონ,—მაგრამ ერთს გთხოვთ, მამაო იოანე, მხედველობაში იქონიოთ—**სოფელი უძაღლო არ არის**—გირჩევთ დიდი ჯოხით იაროთ".

**გიკალი.**

*) რასაც თვით პატივცემული ივ. ებიტაშვილიც დაგვიმოწმებს.

## ნობათი

**გამოცანის საღამო.**

(ნამდვილი ამბავი პოზიციის ცხოვრებიდგან).

— ზაფხულის საღამო იყო...

მთელი დღის სიცხისაგან გახურებულ დედა მიწას ოშხივარი ასდიოდა... მხოლოდ დრო გამოშვებით ოსმალეთის მაღალ მთის მწვერვალოებიდგან, რომელთათვისაც ზაფხულის ცხელ დღეებს ვერაფერი ევნოთ და ისევ თოვლის თეთრი ზეწარი ჰქონდათ გადაფარებული, გადმოჰქროდა ცივი ნიავი და სიცხისაგან შეწუხებულ მინდორ-ველს აგრილებდა...

— ერთ მაღალ მთის ფერდობზედ გაფენილი იყო თეთრად პატარ-პატარა კარვები, სადაც მთელი დღით ბრძოლაში დაქანცულნი ჯარის-კაცნი დასასვენებლად დაბანაკებულიყვნენ...

ყველანი განმარტოვებით, თითქოს ერთი მეორესთან უმძრახათ არიანო, საკუთარ ფიქრებში გართულნი, თავთავისთვის ფუსფუსებდნენ... ზოგი გულდაღამა დაწოლილიყო მწვანე ბალახში, თვალები ზეცისთვის მიეპყრო და ფიქრების სამფლობელოში დაცურავდა.

— ერთ კარავის წინ, რომელიც უფრო განმარტოებით იდგა, რამდენიმე ჯარის კაცს მოეყარა თავი და ჩურჩულით უზიარებდნენ ერთმანეთს გულში ნადებ სევდას რათა დუდუნით ხმაურობით არ დაერღვიათ გამოცანის ღამის მყუდროება. ერთ მათგანს-კი ხელში ფანდური ეჭირა, მოსაუბრეთ გულმოდგინეთ ყურს უგდებდა და თან ფანდურის სიმებს ნელა-ნელა უსვამდა ხელს, მოისმოდა მწუხარე სევდის ამშლელი მელოდია...

— თედო!.. ხმა ამოაღებინე მაგ ტიალს,—გაისმა უეცრივ აკანკალებული ხმა იქ მყოფთაგანისა,—ისედაც არ კმარა ოხერი გულის წუხილი, რომ მაგ ფანდურით არ მოგვიმატო?

— დაჰკა.. რისა გეშინიან?.. დეე... მაგასთან ერთად ჩვენმა სევდამ იქ სამშობლომდის მიაღწიოს... იქ მომმეთ აუტკოს გული სამშობლოს დასახსნელ ბრძოლისათვის... დაჰკა, ნუ გეშინია... სამი საათიღა დაგვრჩენია მტრის ბინისაკენ გამგზავრებამდის და ვინ იცის, რა მოგველის? შესაძლებელია, დაშორებულნი ძვირფას სამშობლოს იქ ყვავ-ყორანის საკორტნავი შევიქნეთ...

— ამ სიტყვებმა ყველაზედ იმოქმედა... ტანში ჟრუანტელმა დაურბინათ და მთელი არსებით მათი გონება იქით გაქანდა, სადაც ევულებოდათ ძვირფასი მათთვის ადამიანები და მოგონებასთან ერთად, დრო გამოშვებით მათ გულიდან მოისმოდა საშინელი ოხვრა და კვნესა... ამ მწარე მოგონებაში იყვნენ გართულნი, რომ მეჩონგურემ თავდავიწყებით ჩაჰკრა ფანდურის სიმებს ხელი და თან გრძნობიერად დასძახა:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა".

ფანდურის ხმის გაგონებაზედ, იქ მყოფთ თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ისეთნაირად შეკრთნენ, მათი სახე სევდამ და ჰმუნვარებამ მოიცვა და მათდა შეუმჩნევლად თვალებზედ ცრემლის ნაკადმა იჩინა თავი... მეჩონგურე კვლავ უკრავდა და იგონებდა შორს მყოფ ძვირფას ქვეყანას, რამაც დაავიწყა იმ წუთში, რომ იგინი ისხდნენ უცხო მიწა წყალზედ, მოძმის სისხლის დასაქცევად... ასეთ სიამოვნებაში, ტკბილ სამშობლოს მოგონებაში იყვნენ, რომ უეცრივ გაისმა საყვირის ხმა, რომელიც უწოდებდა მათ მტერთან საბრძოლველად.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ყველა ესენი სხვებთან ერთად გამოცანის ღამის წყვდიადმა ჩანთქა... მხოლოდ იქ დარჩა მთის ფერდობი ღრმად ჩაფიქრებული... და საიდუმლოდ შემნახავი სხვისი ბოლმის...

**ვანო საათაშვილი.**

## სოფლად

**4. ლამის ყანა და მისი მფლობელი.**

ლამის ყანა მდებარეობს მდ. ქსანზედ. ქსნის ხეობა პატარა ლიახვის ხეობას თუ არ სჯობნის, არც ჩამოუვარდება. მდ. ქსანი სიგძით 62 ვერსია, პატარა ლიახვი კი 55 ვერსამდის იქნება.

ქსნის ხეობაში ამ 12 წლის წინად იკორთამდის მივლია, ჯერ სრული წარმოდგენა არა მაქვს ქსნის ხეობის შესახებ და ვერას ვიტყვი, ხოლო ლამის ყანის შესახებ ქვემოდ მექნება საუბარი.

ლამის ყანაში ქართველები ცხოვრობენ, 192 კომლი ითვლება. ორი კომლი თავადიც მოსახლეობს, ორბელიანი და ერისთავი, მხოლოდ უკანასკნელი ამ რვა წლის წინად აიბარგა და თავის ბინადრობა სრულიად მოსპო ლამის ყანაში.

ქსნის ხეობაში ყველას ეცოდინება ლამის ყანის მებატონე დავით ერისთავი, მისი სრა-სასახლეც თვალსაჩინოდ შორს იხედება. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში დ. ერისთავი ფლობელობდა სოფ. ლამის ყანის მამულს და მისი სრასასახლეც ევროპიულ გემოვნებაზედ შეფარდებული ადგილობრივ ცხოვრებასთან იყო გამართული შიგნით, თუ გარშემო ბაღ-ვენახებით.

სოფ. თეზისში და ლამის ყანაში ერთად დავით ერისთავის მამული ყოფილა ზომით 830 დეს., თითქმის 600 დეს. სარწყავი და დაუფასებელი მამულია. ამ მამულში შედის ვენახები და ხეხილის ბაღი ზომით არა ნაკლებ 100 დეს.

თავის დროზედ დავით ერისთავი, როგორც დიდებული ფეოდალი, ისე ცხოვრობდა; მარტო მის მარანში ათასი კოკის ჰურჭელი არის და მის სრასასახლის წინ ბაღჩა შადრევანებით

მორთული და ძვირფასი მცენარეულობით ჰყაოდა.

ამას გარდა მთისა და მამულის პატრონი იყო დ. ერისთავი, ქსნის სათავეში მას რამდენიმე ათასი დესეტინა საძოვარი და სათიბი ადგილები ეჭირა, საიდანაც აუარებელი ცხვარი შემოსდიოდა, ყველს და ერბოს ხომ ანგარიში არა ჰქონდა.

დღეს კი ალგვილია ლამის ყანიდან მისი ფლობელობა, მისი სრა-სასახლე და მისი მამული!

იგივე დაემართა კასპის დიდებულ მემამულეებს ნიკა ამილახვარს, ადიკო ამილახვარს, ზაქარია ერისთავს; ოძისში და ახალგორში—ერისთავებს.

რა მოხდა? სად გაჰქრა ასე უცბად მათი ხსენება? ეს ხომ დიდი ხნის ამბავი არ არის—სულ რაღაც 30-20-10 წლის ამბებია.

დიდებული მემამულეების შვილები შეუფერებლად იზრდებოდნენ, მთავრობის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ, გუსარის და ლეიბ-გვარდიის პოლკებში მსახურებდნენ. მამულის მოვლა მათ არ იცოდნენ, სიყვარული ძველი ოჯახისა მათ არ ჰქონდათ და მთელი თავიანთი სიცოცხლე ოჯახისა და მამულის გარეთ გაატარეს.

მოურავების ხელში ჩაავდეს გუსარებმა და გვარდიელებმა თავიანთი ზღვად გამსკდარი ოჯახები და იმდენს თხოულობდნენ მათგან, რომ ოჯახებმა ველარ შესძლეს და ზღვაც კოვზით დაილია.

აი, ამისთანა იყო კოლა ერისთავი—დავით ერისთავის შვილი.

მამის შემდეგ მაზედ გადავიდა ხელუხლებელი ლამის ყანის ცხოვრება, მაგრამ იგი შეუფერებელი იყო ამ ცხოვრებას, მამულისათვის არ იყო მომ-

[illegible]

უკან დაიბრუნეს და შეისყიდეს საადგილ-მამულო კომისიის დახმარებით და ბანკების საშუალებით.

830 დესეტინა მამული სარწყავით და ურწყავით, ხეხილით და ვაზით, ჰალა სასარო, ტყე-საფიჩხეთი, საწისქვილოთი და ოთხი თვალი წისქვილით, სრა-სასახლე თავის მარნით—დაფასებული 200,000 მანეთად—შეისყიდეს სამასმა კომლმა გლეხმა 120,000 მანეთად.

ლამის ყანელები აპირებენ დავით ერისთავის შენობაში გახსნან სამეურნეო სასწავლებელი და საკუთრივ ამ სასწავლებელს უნდა მიუზომონ ოცი დესეტინა სარწყავი მამული და ხილის ბაღი, აგრეთვე წისქვილის შემოსავალიც უნდათ გადასდონ.

ამასთანავე ამ შენობაში უნდა მოათავსონ აწ უკვე გახსნილი წვრილი კრედიტი და კოოპერატიული დუქანი.

ჩვენც გამარჯვება ვუსურვოთ ლამის ყანელებს და თეზელებს და სხვების სამაგალითოდ გახდნენ!

Legatus.

## კიდევ ხევსურეთის შესახებ

გაზ. „საქართველო"-ს № 184-ში წავიკითხე წერილი ხევსურეთის შესახებ და შემდეგი ანდაზა მომაგონდა—წედისი დაიწვა და რაც იმას ტანჯვა ჰქონდა, რატომ აქამდისაც არ დაიწვაო. ეს ანდაზა სწორეთ ხევსურეთზე არის გამოჭრილი. წერილის ავტორს მოჰყავს ზოგიერთი ცნობები იმის შესახებ თუ რა ძარცვა-გლეჯას განიცდის საცოდავი ხევსურეთი ადგილობრივ ადმინისტრაციის დაუდევრობის წყალობით. ამ წერილის წაკითხვაზე თვალი ცრემლით ამევსო, გულზედ ბოღმა შემომაწვა და ინსტიქტურად დარეტიანებული კარში გამოვარდი. ჩემი თავი ხევსურეთში წარმოვიდგინე და მინდოდა ჩემისავე თვალით ერთხელ კიდევ დამენახა თუ როგორ აწამებს ხევსურის სისხლით გაუმაძღარი ცნობილი მაცა მარეშაული თავის მსხვერპლს. (ეს მაცა მარეშაკლი სხვათა შორის რამდენიმე ხანი ციხეში იჯდა, ამას კანკას (ქისტის სახელია) ცოლშვილის ამოწყვეტა და იმის სახლის დაწვა ბრალდებოდა).

მე მთელი სამი წელიწადი ვმსახურებდი თიანეთის მაზრაში, სამსახურის გამო ძირის-ძირობით შემოვიარე მთელი თუშ-ფშავ-ხევსურეთი. დაწვრილებით ცნობებს ვაგროვებდი ხოლმე ადგილობრივ მცხოვრებთა წარსულზე და როდესაც ვადარებდი იმათ ნალაპარაკევს და ჩემის თვალით ნახულს, ისეთ დასკვნას დავადექი, რომ მგონი ალა-მაჰმად-ხანის დროსაც არ განუცდიათ ხევსურებს ის ტანჯვა-ვაება, რაც ამ უკანასკნელი 5—6 წლის გან-

[illegible]

ვისაც კი რაიმე წილი უდევს ხევსურის ასეთ უსამართლო დაჩაგვრაში. ბ. ისარის წერილში ნათქვამია, რომ ვითომ მთავრობას გამოძიება დაენიშნოს, ამისთვის კიდეც ჟანდარმი გაუგზავნია, მაგრამ ეს უკანასკნელი ახმეტას არ გასცილებია. მაგრამ რა ნაყოფს მოიტანს ამისთანა გამოძიება? ჯერ ეს ერთი, ახმეტა კახეთის სოფელია და სრულიათ შემთხვევით არის დაკავშირებული ადმინისტრატიულათ თიანეთის მაზრასთან; მეორეც, ის ვისაც უნდა გაიგოს თუ რა ბნელი საქმეები ხდება ხევსურეთში, გამოძიებაც იმ ბნელ ჯურღმულში უნდა მოხდეს, სადაც ხევსურები სცხოვრობენ: ბარისახო, გუთელი, ხახმატი, გურო, შატილი, არდოტი და სხ. თუ გაიგება სიმართლე, სწორეთ აი აქ გაიგება და ისიც მე მგონია დაახლოებით. აბა რა უნდა გაიგოს ჟანდარმმა ახმეტაში თელავის მაზრაში გადასახლებული ხევსურების დაკითხვით, რომლებიც ორსამ წელიწადში ერთხელ თუ წავლენ ხევსურეთში ათენგიანობის ხატებში სალოცავათ. ლოცვის დროს კი, ხომ მოგეხსენებათ, სპარსელებიც კი ბლომ გვარბევდნენ ხოლმე. ბოროტმოქმედების აღმოსაჩენათ საჭიროა ადგილობრივი პოლიცია სულაც ჩამოშორებული იყოს და გამოძიების დროს ეკითხოს მარტო ხევსურებს და ზოგიერთა იმ კეთილსინიდისიერ მოსამსახურეებს, რომლებიც გულწრფელათ არიან შეწუხებულნი ხევსურის ასეთ უსამართლო დაჩაგვრით. სამწუხაროთ მე თითონ ბევრ რამის მნახველი ვარ, მაგრამ ყველა ამის გამომჟღავნება გაზეთში უხერხულად მიმაჩნია.

დასასრულ, არ შემიძლიან განმეორებით ჩემი აღშფოთება არ გამოვსთქვა: როდესაც ამნაირი დარბევის და ძარცვა-გლეჯის ამბავი ფრონტიდგან მოგვდის, ისიც კი დიდათ გვაშფოთებს, მხოლოთ როდესაც ამისთანა უსამართლობა შორს, ძალიან შორს ზურგთ უკან ხდება, ეს კი რაღაც საარაკო არის მე-20 საუკუნეში, საარაკო მით უმეტეს, რომ თიანეთის მაზრის უმფროსათ ყარალაშვილი ბრძანდება.

დეგოთელი.

## დაბა-სოფლები

**სოფ. მეტეხი** (გორის მაზრა). საუცხოვო მდებარეობა აქვს ამ სოფელს: მაღლობი ადგილი, კარგი ჰაერი და წყალი, მიდამო ვენახოვანი და ხილიანი, სიახლოვე სადგურთან; ყველა ესენი ჰქმნიან მეტეხს მშვენიერ სააგარაკო ადგილად.

სოფელი დასახლებულია ქართველებით, რომლების რიცხვი აღემატება 700 კომლს. სოფელს აქვს სკოლა, კარგათ მოწყობილი, საკუთარი ბაღით, სამეურნეო ბანკი, კოოპერატიული დუქანი და სამკითხველო.

მეტეხში თქვენ ვერ შეხვდებით ჩარჩებს, ვაჭარ-ურიებს ან სომხებს, რომელნიც ტყავს აძრობენ ჩვენ გლეხებს. აქაურებს კარგად შეუგნიათ, თუ რა ძალას წარმოადგენს კოოპერაცია, ამიტომ ნდობით უცქერიან კოოპერატიულ დაწესებულებებს და სცდილობენ ყველა საჭირო საგანი იყიდონ კოოპერატიულ დუქანში.

აქაური ინტელიგენცია არ ატარებს დროს უაზროდ, როგორც მეტი ნაწილი ჩვენი სოფლის განათლებული ხალხისა, არამედ სცდილობს, რამე სარგებლობა მოუტანოს მცხოვრებლებს.

წრეულს მათ რამდენჯერმე გამართეს წარმოდგენა. რადგან მეტეხში არ მოიპოვება შესაფერი სცენის მოწყობილობა, მათ უხდებოდათ სიარული ექვსი ვერსის მანძილზე სოფ. ახალ-ქალაქში.

ამას წინად, 13 მარიამობისთვეს, მათ დასდგეს კომ. „ციმბირელი", რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ, გარდა ადგილობრივი სცენის მოყვარეებისა, სოსო რომანიშვილი და გიორგი თაზიშვილი. წარმოდგენამ ბევრი ხალხი მიიზიდა და კარგი შთაბეჭდილებაც იქონია მსმენელებზე.

ამ სოფელში არის ძველი ტაძარი, რომელზედაც ვახუშტი ამბობს: „კიდესა ზედა მტკვრისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა, ეკლესია მეტეხი, ღვთის მშობლისა, დიდ-მშვენიერ ნაშენი გორგასლისაგან, საარქიმანდრიტო". ტაძარი მშვენივრად არის შენახული, მისი ჩუქურთმიანი კედლები დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე.

აქვე არ შემიძლიან მოვიხსენიო შემდეგი გარემოება: სადგურის გასწვრივ, ბორანთან, სოფლელები ხშირად პოულობენ სხვა და სხვა ნივთებს: სურებს, სამაჯურებს, ბეჭდებს. კარგი იქმნებოდა, რომ ჩვენი საისტორიო საზოგადოება მიაქცევდეს ამ გარემოებას ყურადღებას და იხსნიდეს ამ ნივთებს განსაცდელისაგან.

ელ. ხ-ილი.

## თეატრი

**თელავი.**

კვირას, 21 მარიამობისთვეს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრემ. მსახიობ ქალის ქ-ნ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით, დასდგა მეოთხე სახალხო წარმოდგენა: წარმოადგინეს 3 მოქ. დრამა „გამცემი", რომელმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. საუცხოვოდ ითამაშეს ვ. ციცქიშვილმა (შაქრო), ქ-ნ ვერა სიდამონიძემ (შაქროს დედა), რ. ნანუკოვმა (არჩილი). დანარჩენებსაც არა უჭირდათ-რა; დაბოლოვებისას (შაქრომ) ველარ მოახერხა თავის მოკვლა, რევოლვერის გამართვა მაშინ მოუნდა, დანარჩენები კიდევ იდგნენ და ულოდინენ თავის მოკვლას, ბოლოს მობეზრდათ იმის ყურება და ფარდა დაუშვეს.

წარმოდგენის შემდეგ იმღერეს კუპლეტები ბ.ბ. კ. ონიკაშვილმა და ვ. კაკაბაძემ, რითაც ბევრი აცინეს დამსწრენი.

შუამთელი.

## შემოწირულება

ქალთა სემინარიის დამხმარე კომიტეტის გადასაცემად მივიღე ექიმ ივ. ელ. თიკანაძისაგან ას ორმოცდა თხუთმეტი მან. (155 მ.) მის მიერ შეგროვილი მომქმედ ჯარში. შემომწირველთა სია:

| | |
|---|---|
| მღვდელი სვ. გიგინეიშვილი | 25 მ. |
| ექიმი ვლ. კუჭაიძე . . | 25 „ |
| პორუჩიკი კორ. ჩაჩანიძე . | 25 „ |
| პრაპორშჩიკი ვლ. მასხულია | 15 „ |
| პორუჩიკი მძინაროვი . | 10 „ |
| პორუჩიკი გაბიჩვაძე . | 10 „ |
| ბ-მა ნინუამ . . . | 10 „ |
| თავ. ილ. ჯორჯაძემ . . | 10 „ |
| ექ. ი. ორახელაშვილი . | 10 „ |
| ექ. ი. გეგელაშვილი . | 10 „ |
| ექ. გრ. თოდაძე . . | 5 „ |
| სულ . | 155 მ. |

„განათლების" საზოგადოება დიდ მადლობას უძღვნის როგორათაც ექ. ივ. თიკანაძეს აგრეთვე ყველა შემომწირველს

გამგეობის თავმჯდომარე

**ანასტასია თუმანოვ-წერეთლისა.**

## სპორტი

**(ფრანგული ჭიდაობა)**

მე-68 დღე ფრანგული ჭიდაობისა.

**ჭიდაობდა ოთხი წყვილი.**

პირველი წყვილი.

უხეში ლონის პატრონი დონის კაზაკი **პოდუბოვი** შეხვდა მუქ-კანიან ინდოელ ფალავანს **საიდ კრახუტას.** ოცდა თორმეტი წუთის ჭიდაობაში მათ არც ერთი ფრანგული ჭიდაობის ხერხი არ უჩვენეს მაყურებელთ. ორნივე მეტად უშნოდ და ზანტად ჭიდაობდნენ.

**პოდუბოვის** ჩვეულებრივი უშვერი სიტყვები ხშირად გაისმოდა ცირკში. მე 32 წუთში **კრახუტამ** თავის საყვარელ ხერხით „tour de paule"-ით დასცა **პოდუბოვი.**

მეორე წყვილი.

დღეს პირველად დაეჯახნენ ერთმანეთს რუსი-სპორტსმენი, ავიატორი და გამოჩენილი ფალავანი **ი. ზაიკინი** და ბელგიელი ფალავანი **ჟორჟ დაზე.**

ორნივე პირველ ხარისხოვანი მოჭიდავეა და ეს იყო მიზეზი, რომ ოცი წუთის ჭიდაობამ მიზანს ვერ მიაღწია.

მესამე წყვილი.

უშნო მოჭიდავე, წონით ათ ნახევარი ფუთი სახალინელი **ი. ლეში** დაეჭიდა ფალავან **ბრანენოხცევს**

ი. ლეშის შესახებ ვიტყვით, რომ ის მოჭიდავე არ არის და არც გაეგება-რა ფრანგული ჭიდაობისა. სასურველია ასეთი უშნო მოჭიდავე არ გამოდიოდეს სხვა კარგებთან; თუ მაგალითად ჭიდაობა „პარტერში" გადავიდა, მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია. შვიდი წუთის განმავლობაში **ბრანენოხცევმა** „ხიდის ჩასამტვრევ ხერხის" საწინააღმდეგო ფანდით ხალიჩას პირ-აღმა მიაკრა **ი. ლეში.**

მეოთხე წყვილი.

გაიმართა მეტის-მეტად საინტერესო ჭიდაობა. გამოჩენილი „მსოფლიო მოჭიდავე" ცნობილი **კ. ბული** დაეჭიდა პატარა ტანის პატრონს, მაგრამ მეტად მარდს და ლამაზ ფალავანს **ავგუსტ ალლიკს.**

ცამეტი წუთის ჭიდაობაში ბევრი ლამაზი და შეუდარებელი ფანდები უჩვენეს ხალხს. ბოლოს ლონემ მაინც თავისი გაიტანა: კ. ბულმა ხერხი tour de hanche-ით დასცა ალლიკი.

გენო.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


# თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

# მიმართეთ

ცნობის კონტორას

# ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 7 „ 58 „ | დილ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | . 7 „ 58 „ | საღ. |


მანგლისის გზაზე, თბილისიდან 23--25 ვერსის მანძილზე,
იყიდება 300 დესეტინამდე
# რცხილის ტყე მოსაჭრელად და სანახშირედ.
იმავე მამულში ეძებენ
# მერძეოების, მეურნეოების მცოდნე მოზიარეს,
რომელსაც უნდა ჰყავდეს ახამდე მეწველი ძროხა.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება მამულაიშვილის ფართლეულობის მაღაზიაში, სომხის ბაზარი, მანთაშევის ქარვასლა № 20—22.
(10—224—2)

გამოვიდა და იყიდება
# კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово" ნაწ. I, მეორე გამოცემა უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა") თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Ссловo"-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова" имѣетъ несомнѣнныя достоинства, н умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово" можетъ быть признано вполнѣ подходьщимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ".
(თ.—225—2)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე
# ლალიძის
და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლალიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ◊ თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი"

მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
# სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ◊ წიგ. მაღაზია
# „განათლება"-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზეით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „„მ-ზონჩნ" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები. რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ იაფად.